საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ქსოვრელის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ირაკლი ქსოვრელის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ირაკლი ქსოვრელის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ირაკლი ქსოვრელი არის თავდაჯერებული, კორექტული, პირდაპირი, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამასთან, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ქსოვრელის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25	ირაკლი ქსოვრელთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი ფლობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს. ამასთან, დამაკმაყოფილებელ დონეზე იცნობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს წაკითხული და გაანალიზებული აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თუმცა, იგი სრულყოფილად არ იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით. აღსანიშნავია, რომ იგი ამჟამად არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	ირაკლი ქსოვრელი გამოირჩევა გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს. კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად და გარკვევით. ამასთან, მისი მსჯელობა არის თანმიმდევრული და ცხადი. ტექსტი არის გამართული, დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღსაქმელი.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და გამოირჩევა მენეჯერული უნარ-ჩვევებითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	ირაკლი ქსოვრელს ცოდნის გაღრმავების მიზნით მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ ორ ტრენინგში.
პროფესიული აქტივობა	4	5	ირაკლი ქსოვრელის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი და მოპოვებული აქვს შვედეთის ინსტიტუტის ვიზბის პროგრამის სტიპენდია სამაგისტრო სწავლებისათვის. აგრეთვე, კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმინობას და არის ერთი სამართლებრივი სტატიის ავტორი.

[1] სტატია: საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts-Effective Remedy for Human Rights Protection), სამაგისტრო ნაშრომი - Aggressive Tax Planning – Challenge of the Digital Era (Lund University, Spring 2015).

ქულათა ჯამი	85	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ირაკლი ქსოვრელი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ირაკლი ქსოვრელის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ირაკლი ქსოვრელის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ირაკლი ქსოვრელის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ირაკლი ქსოვრელს სწორად აქვს გაანალიზებული მასზე დაკისრებული მოვალეობები და სამსახურებრივ, ფინანსურ ან სხვა ხასიათის		

	ვალდებულებებს უმეტესად ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, იგი დროულად იხდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (უფიქსირდება მცირედი ჯარიმები) და სხვ. უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატის პირად თვისებებს რეკომენდატორები და მასთან პირად თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აცხადებენ, რომ ირაკლი ქსოვრელი არის უაღრესად პატიოსანი, გულისხმიერი, კეთილსინდისიერი და გამოირჩევა დაკისრებული მოვალეობების მიმართ პასუხისმგებლობის განსაკუთრებული შეგნებით. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ქსოვრელმა საჯარო მოსმენაზე დატოვა კორექტული, პირდაპირი და გულწრფელი პიროვნების შთაბეჭდილება. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა ითქვას, რომ ირაკლი ქსოვრელის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის პრინციპული, სამართლიანი, მტკიცე და აქვს უნარი გამოიჩინოს მედეგობა მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი შესაძლო ზეწოლის მიმართ. გამოკითხული რეკომენდატორებიდან ერთ-ერთი უთითებს, იმასაც, რომ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატი ძალიან რთულად იცვლის საკუთარ პოზიციას და საწინააღმდეგო არგუმენტის არსებობის შემთხვევაში მაინც საკუთარ პოზიციაზე რჩება. ამასთან, ირაკლი ქსოვრელი საჯარო მოსმენაზე ზოგად თუ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ამჟღავნებდა პრიციპულობას, თავდაჯერებულობასა და პიროვნულ სიმყარეს. კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ქსოვრელი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, რაც შეეხება სასამართლოში წარმართულ დავებში მის მხარედ მონაწილეობის საკითხს ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა მოსარჩელედ სამოქალაქო საქმეში. დავის საგანს წარმოადგენდა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თუმცა, გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 09 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.

	აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რეკომენდატორები პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას უთითებენ, რომ იგი კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში გამოირჩევა თავაზიანობით, გულისხმიერებითა და კორექტულობით. აგრეთვე, ირაკლი ქსოვრელთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, ირაკლი ქსოვრელის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი პროფესიული ავტორიტეტითა და მორალური რეპუტაციით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ ირაკლი ქსოვრელს მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ რამოდენიმე ტრენინგში და იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით, მოძიებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ირაკლი ქსოვრელს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (უფიქსირდება მცირედი ჯარიმები), მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ირაკლი ქსოვრელის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით</u>* უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ქსოვრელთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი ფლობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს. ამასთან, დამაკმაყოფილებელ დონეზე იცნობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს წაკითხული და გაანალიზებული აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თუმცა, იგი სრულყოფილად არ იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 5 მარტს ირაკლი ქსოვრელთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო საკმაოდ თავდაჯერებული, მშვიდი, კორექტული და პირდაპირი. ამასთან, ირაკლი ქსოვრელი ღიად და თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს. თუმცა, მან ვერ შეძლო პასუხი გაეცა ყველა დასმული შეკითხვისათვის. აღსანიშნავია, ისიც, რომ კანდიდატს ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე გაუჭირდა მყარი პასუხის გაცემა, სიღრმისეული და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის განვითარება. აგრეთვე, ზოგჯერ კანდიდატის მსჯელობა და ანალიზი იყო ბუნდოვანი და იგი ვერ ახერხებდა საკუთარი პოზიციის ნათლად და გასაგები ენით გადმოცემას.

ირაკლი ქსოვრელის *<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის</u>* შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება.

[2] იხ. ირაკლი ქსოვრელთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=nLm7gtasvI0

	იგი ამჟამად არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით. კანდიდატის *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს* რაც შეეხება, ირაკლი ქსოვრელი გამოირჩევა გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს. წერის კომპონენტთან დაკავშირებით კი კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ირაკლი ქსოვრელი აზრს გადმოსცემს ნათლად და გარკვევით. ამასთან, მისი მსჯელობა არის თანმიმდევრული და ცხადი. ტექსტი არის გამართული, იგი დაინტერესებული პირებისათვის რთულად აღსაქმელი არ არის და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. *პროფესიული თვისებების მახასიათებელთან* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ირაკლი ქსოვრელი გამოირჩევა მიზანდასახულობით, მენეჯერული უნარ-ჩვევებით, პუნქტულურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. ირაკლი ქსოვრელის *პროფესიული წვრთნის, აკადემიურ მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ მის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ ორ ტრენინგში. აგრეთვე, იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი და მოპოვებული აქვს შვედეთის ინსტიტუტის ვიზბის პროგრამის სტიპენდია სამაგისტრო სწავლებისათვის. მნიშვენლოვანია, რომ ირაკლი ქსოვრელი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, იგი არის ერთი სამართლებრივი სტატიის ავტორი. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ირაკლი ქსოვრელთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს

[3] სტატია: საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts-Effective Remedy for Human Rights Protection); სამაგისტრო ნაშრომი - Aggressive Tax Planning – Challenge of the Digital Era (Lund University, Spring 2015).

	კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგენს 85 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021